ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 74

"26" დეკემბერი 2017 წ.

ქ. თბილისი

ზოგიერთი ფიზიკური და იურიდიული პირისთვის ჯიხურების განთავსების მიზნით, პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით მიწის ნაკვეთების გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 122[1] მუხლის მე-6 და მე-10 პუნქტების, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-78 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-11 პუნქტის და მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, „ზოგიერთი ფიზიკური და იურიდიული პირისთვის ჯიხურების განთავსების მიზნით, პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით მიწის ნაკვეთების გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2017 წლის 22 დეკემბრის N48.05.963 განკარგულების დანართი 1-ში მითითებული უძრავი ქონების, ამავე დანართში მითითებული იმ ფიზიკური და იურიდიული პირებისთვის, პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით, აუქციონების შედეგად დადგენილი წლიური სარგებლობის საფასურის უცვლელად, 3 (სამი) თვის ვადით, მაგრამ არაუმეტეს 2018 წლის 31 მარტამდე ვადით, გაგრძელებაზე, რომლებთანაც დადებული, სავაჭრო ჯიხურების განთავსებასთან დაკავშირებული საიჯარო ხელშეკრულება მოქმედია ამ განკარგულების მიღების დროისთვის და ვადა გასდის 2018 წლის 31 მარტამდე.

2. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, „ზოგიერთი ფიზიკური და იურიდიული პირისთვის ჯიხურების განთავსების მიზნით, პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით მიწის ნაკვეთების გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის

მთავრობის 2017 წლის 22 დეკემბრის N48.05.963 განკარგულების დანართ N2-ში მითითებული უძრავი ქონების ამავე დანართში მითითებული იმ ფიზიკური და იურიდიული პირებისთვის, პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით, აუქციონების შედეგად დადგენილი წლიური სარგებლობის საფასურის უცვლელად, 3 (სამი) თვის ვადით, მაგრამ არაუმეტეს 2018 წლის 31 მარტამდე ვადით გადაცემაზე, რომლებთან დადებულ, სავაჭრო ჯიხურების განთავსებასთან დაკავშირებულ საიჯარო ხელშეკრულებას ვადა გაუვიდა 2017 წლის ნოემბერ-დეკემბრის თვეში, იმ პირობით, რომ მომავალი მოიჯარის მიერ მოხდება ქონების ფაქტობრივი ფლობის პერიოდში სარგებლობის საფასურის თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში გადახდა, შესაბამის პერიოდში ქონების საბაზრო ღირებულების შესაბამისად.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6).

საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ტყემალაძე**